

# სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

## აცხადებს

### ღია კონკურსს

შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად:

#### ნახევარგამტარული და რადიაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ადგილების რაოდენობა - 1 (ერთი)

თანამდებობრივი სარგო - 1000 ლარი.

სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი.

#### ფუნქციები:

- კონკურსანტს უნდა გააჩნდეს გამოცდილება რადიაციულ ფიზიკაში, რადიაციულ ტექნოლოგიებსა და რადიაციულ მასალათმცოდნეობის მიმართულებით თეორიულ და პრაქტიკულ (ექსპერიმენტული) კვლევით მუშაობაში.
- ფლობდეს რადიაციამოდიფიცირებული ლითონური, ნახევარგამტარული და კერამიკული მასალების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების (პარამეტრების) კვლევის მეთოდებს.
- გააჩნდეს თანამედროვე ხელსაწყოებთან და გამზომ აპარატურასთან მუშაობის უნარები და გამოცდილება.

#### დამატებითი მოთხოვნები:

- 10 წლის განმავლობაში საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციულობა შემდეგი კლასიფიკაციის მიხედვით:
- არანაკლებ 10 სამეცნიერო პუბლიკაცია გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული რეიტინგულ ჟურნალებში, თავი წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულეში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის, Scopus-ის ან/და Google Scholar -ის მიერ.
- არანაკლებ 5 სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.
- მონაწილეობა ეროვნულ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით 5 პროექტში მათ შორის სამეცნიერო ხელმძღვანელის რანგში არანაკლებ 2 პროექტში.
- არანაკლებ 10 საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის, Scopus-ის ან/და Google Scholar -ის მიერ.
- სასურველია ეწეოდეს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

#### კონკურსის პირობები:

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

2. ლაბორატორიის მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 6 წლიანი გამოცდილება;

3. კონკურსის კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;

4. კონკურსის კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მითითებულ ელ-ფოსტაზე ([xlomidze@sipt.org.ge](mailto:xlomidze@sipt.org.ge)) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (იხ. **განცხადების ფორმა**);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
10. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

კონკურსსანტებმა განცხადება და მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, ელ. ფოსტის [xlomidze@sipt.org.ge](mailto:xlomidze@sipt.org.ge) საშუალებით.

საბუთების მიღება იწარმოებს **2020 წლის 13 იანვარს 10 საათიდან 15 იანვრის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).**

– **კონკურსი გაიმართება 17 იანვარს.**